ხელშეკრულება № 2

(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ჭიათურა. სოფ. ტყემლოვანა 2011 წლის 25 იანვარი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ ტყემლოვანის საჯარო სკოლის დირექტორი რუსუდან ბიწაძე შემდგომში "შემსყიდველი' ტყემლოვანის საჯარო სკოლის სახელით და მეორეს მხრივ ი/მ გელა ბიწაძე შემდგომში "შემსრულებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

ხელშეკრულების საგანი

2.საკანცელარიო და სასწავლო მასალების მოტანა სკოლისათვის

1. მხარეთა უფლებები და მოვალეობანი

"შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:

3.1 გადაუხადოს "შემსრულებელს "ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული მომსახურეობის ღირებულება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

3.2 "შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას 2011 წლის 25 იანვრიდან 2012 წლის იანვრამდე მიაწოდოს "შემსყიდველს 2.1. პუნქტში მითითებული საქონელი

4.ანგარიშსწორება

4,1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიწორებით ხელშეკრულების პერიოდში.

5 ფორს –მაჟორი

5 .1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა მხარის მიერ არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს- მაჟორული გარემოების შედეგად.

5. 2 ფორს- მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს . თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს , იგი თავის შეხედულებებისამებრ აგრძელებს ნაკრის ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები , რომლებიც დამოკიდებული იქნებიან ფორს –მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან .

6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

6 .1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს ინფორმაცია ერთი კვირით ადრე. ამავე დროს "შემსყიდველი " არ არის ვალდებული წარუდგინოს "შემსრულებელს " რაიმე მტკიცებულებანი გარემოებებთან დაკავშირებით , რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7. 1 შემსყიდველმა" და "შემსრულებელმა " ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირ მოლაპარაკების პროცესში მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა

წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
7.2 თუკი ასეთი მოლაპარაკების გზით "შემსყიდველი" და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს .

8 . ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8 .1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელს გარემოებას, რომელთა გამოც ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობით შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ . შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შსრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე , ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის მიზნით .

9 . ინსპექტირების პირობები

9 .1 "შემსყიდველს " უფლება აქვს აწარმოოს გაწეული მომსახურების კონტროლი მომსახურების ნებისმიერ დროს.

10 . ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10 .1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 25 იანვრიდან 2012 წლის იანვრამდე

11 სხვადასხვა

10 1. ხელშეკრულების შედგენილია 2 ეგზემპლარად (2 გვერდზე და თითეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.
10 .2 . ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან .

"შემსყიდველი "
ტყემლოვანის საჯარო სკოლა

"შემსრულებელი"
ი/მ გელა ბიწაძე

სკოლის საინდენტიფიკაციო კოდი 215606592
სკოლის ანგარიშის ნომერი 119252000
მომსახურე ბანკი: საქართველო ბანკი
ს.ს.ბანკის ც/ფ ანგ №121649800

ქ. ჭიათურა.

ს.ს ბანკის ც/ფ ანგ 121659300

სკოლის დირექტორი /რ.ბიწაძე/

"შემსრულებლის" ხელმოწერა

მოქ. ი/მ /გ. ბიწაძე /

ბ.ა